დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

თინათინ გიორგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ინგა ალავერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნიკოლოზ გურგენიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ანანო შანავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**240413218**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღი
იურიდიული მისამართი	სიღნაღი. სოფელი ძველი ანაგა
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღი. სოფელი ძველი ანაგა
საფოსტო ინდექსი	**4215**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://shorturl.at/ckwRU**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**DzveliAnaga@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577988234**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №935051 27/07/2023წ და № 990528. 14/08/2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	6,7 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი ანაგა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი ანაგა

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი სოფელი ძველი ანაგა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ სიღნღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლაში 2023 წლის 6 და 7 სექტემბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.
სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი.
საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა დაათვალიერა სასწავლო გარემო.
ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლაში 2014 წლიდან ფუნქციონირებს ეკო-კლუბი. ეკო-კლუბის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა არის თემზე მორგებული. ამ პროგრამაში ჩართვით მოსწავლეებმა მიიღეს ახალი ცოდნა და გამოცდილება და პრაქტიკულად განახორციელეს ისინი. პროგრამის მიზანია სკოლის მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დაანახონ საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. ეკო-კლუბის მოსწავლეებს შემუშავებული აქვთ ეკო-კოდექსი „დედამიწაზე ზრუნვა ჩემი უბნიდან იწყება“. ეკო-კოდექსი ვრცელდება სასკოლო საზოგადოებაზე, თემსა და მის ვიზიტორებზე. ყველა იცავს იქ არსებულ ბიომრავალფეროვნებას და იღებს ვალდებულებას მისი მოვლისა და ზრუნვის შესახებ, ყოველი ქმედება მიზნობრივად უკავშირდება კლიმატის ცვლილებას და ნარჩენების შემცირებას. ეკო სკოლას შემუშავებული აქვს მარტივი აუდიტის ფორმა, რითაც პერიოდულად იკვლევს წევრთა საქმიანობას. აღნიშნული ეკო-კლუბი შეიძლება ვაღიაროთ, როგორც თემსა და მის საჭიროებებზე მზრუნველი სასკოლო საზოგადოება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.		
ინდიკატორი N..		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითება.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეათანხმოს იგი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში; სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს დასკვნის მოპოვება შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე.
ინდიკატორი N.3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის მოქმედ ვებ. გვერდზე სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის განთავსება

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ინდიკატორი N.3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის შინაგანაწესში, მუხლი 1, 2, 14, 23, 29, 32 მოხსენიებული ტერმინი „მანდატური/უფლებამოსილი პირი“ დააზუსტოს და მიუთითოს სკოლის საშტატო ერთეულით განსაზღვრული - „უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი“.
ინდიკატორი N.3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის მოქმედ ვებ გვერდზე ატვირთოს სკოლის შინაგანაწესი.

	პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას გამოაგზავნა შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. კერძოდ, სკოლამ მიზნად დაისახა ღირსეული ადგილის დამკვიდრება საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც სკოლა, რომელიც აღზრდის ისეთ მოქალაქეს, რომელიც შეძლებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარებას, ქვეყნის ტრადიციებებისა და ღირებულებების დასაცავად და ამავდროულად იაზროვნებს გლობალურად.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა წარმოდგენილი მისიით განსაზღვრავს ისეთი გლობალური მოქალაქის აღზრდას, რომელიც ორიენტირებული იქნება საკუთარ სულიერ და ფიზიკურ განვითარებაზე, ხედვაში კი იკვეთება სკოლის გააზრებული სვლა მოზარდის აკადემიური უნარების გაუმჯობესებისკენ, რის უზრუნველყოფას სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესებასთან ერთად არაფორმალური განათლების ხელშეწყობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სკოლის სოციალური ქსელით მტკიცდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული პრაქტიკა ამ მიმართულებით. სკოლის ინფრასტრუქტურა, შიდა და გარე ტერიტორიაზე მოწყობილი სივრცეები, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები, მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შექმნილი კლუბები და წრეები, სკოლის მოქმედი შინაგანაწესი და ეკო კოდექსი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას უსაფრთხო გარემოში.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები) ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შექმნის მიზნით, სპეციალურად შექმნილი კითხვარი გაუზიარა მშობლებს, მიიღო უკუკავშირი, გაანალიზა წარმოდგენილი პასუხები კლასების მიხედვით და შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსია.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსია ა/წლის 1 სექტემბერს სკოლამ გააზიარა სოციალურ ქსელში შემდგომი უკუკავშირისთვის. იმავე დღეს სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფმა შეხვედრა გამართა სკოლაში, მოიწვია მერიის წარმომადგენელი ადგილობრივ თემში და განიხილა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #3-დან დგინდება, რომ ორივე შემთხვევაში სკოლამ მიიღო დადებითი უკუკავშირი და წარმოდგენილი პროექტები არსებული სახით. სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 4 სექტემბრის სხდომის ოქმი #6-ით დგინდება, სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. განთავსებულია სკოლის ფოიეში, სკოლის სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. .სკოლის სახელწოდება "სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). ასევე, აღნიშნული სახელი ფიქსირდება სკოლის მიერ წარმოდგენილ ამონაწერში საჯარო რეესტრიდან.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ.გვერდი* **https://shorturl.at/ckwRU**
- *სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100015041261145*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #1/ვ-42 21.08.2023წ;*
- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *მშობლის და მოსწავლის კითხვარი;*
- *მშობლის გამოკითხვის ანალიზი;*
- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #3. 04/09/2023წ;*
- *სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #6. 04/09/2023წ ;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის სახით, წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები: მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესი; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი; მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცლილების შეტანის პროცესი; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა ყველა ეტაპზე- შემუშავების, ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და შეთანხმების- რთავს დაინტერესებულ მხარეებს. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული შვიდ წლიანი (2023-2030) სტრატეგიული გეგმა, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სამ მსხვილ მიზანს (1.მოსწავლეთა აკადემიური

მოსწრების ამაღლება. 2. პედაგოგთა პროფესიული განვითარება. 3. არაფორმალური განათლება), მიზნის შესაბამის ამოცანებს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2023-2024) სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან. სკოლის მიერ დაგეგმილი სხვა, ყოველწლიური, აქტივობების გარდა, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს. სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. არ არის გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური რესურსი.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახავს აქტივობების შესაბამის ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს ათი დღის (05 – 25 ოქტომბერი 2023წ.) ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური რესურსების მითითება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის ვებ გვერდი;*
- *სკოლის სტრატეგიული გეგმა 2023-2030;*
- *სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
მონიტორინგი მოიაზრებს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება გულისხმობს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა;

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება

3.როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ვერ ექნებათ გასაჯაროებული. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება

4.სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება ჯერ ვერ მოხდებოდა. ამდენად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სქემატურად გამოსახული ორგანიზაციის სტრუქტურის ამსახველი დიაგრამა, ორგანიგრამა და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, უფლებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები და უფლებამოსილებები. წარმოდგენილი დოკუმენტი შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან.

სამუშაო აღწერილობები და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან;

სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინა კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტები.

წარმოდგენილი დოკუმენტებით სკოლაში მოქმედი სტრუქტუტული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტითა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/ პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, ბრძანება N 1კ-51 2023წ.*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;*
- *სკოლის სტრატეგიული გეგმა 2023-2030;*
- *სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შინაგანაწესით სკოლას დადგენილი აქვს პერსონალის შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობი, დასაქმებულის დანიშვნის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების, ანაზღაურებისა და შვებულების გაცემის, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და სხვა.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით და იგი მოიცავს ისეთ მუხლებს, როგორიცაა: კადრების მოზიდვა და შერჩევა; ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება და თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება.

პერსონალის მართვას (პერსონალის შერჩევა, დანიშვნა, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, პერსონალის შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება, პერსონალის დასჯა წახალისება, პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობა და პერსონალის გათავისუფლება) სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო). მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია სკოლის შიდანორმატიული აქტები: სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, უფლებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები, კერძოდ, ახალ თანამშრომელთან პერიოდული პროფესიული დიალოგი არსებული სირთულეების პრევენციის/მართვის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შეფასების სისტემა ეფუძნება ზდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა; აქტიური მონაწილეობის წახალისება; გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. შეფასება მოიაზრება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ მე-12 მუხლით, სკოლა უფლებას იტოვებს გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების წესი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების და მათზე სახდელის დაკისრების წესები და პირობები. სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახდელი. როგორიცაა: შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, ხელფასის დაკავება და სამსახურიდან განთავისუფლება. მასწავლებლის დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ხოლო სხვა დასაქმებული პირების შემთხვევაში სკოლის დირექტორი. სკოლის დირექტორი, დარღვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია ნებისმიერი თანამშრომლის დისციპლინური გადაცდომის განხილვისთვის მიმართოს სკოლის დისციპლინურ კომიტეტს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა და იგი მზადაა ნებისმიერი გამოწვევისთვის.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები. დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ამ შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ პოზიციაზე წარდგენილი სხვა კანდიდატის შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ზემოაზღნიშნული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადისას ეყრდნობა პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი. შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი წესით. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე.

მასწავლებლებთან გაფორმებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი). წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი, საქმისმწამოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი,

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, მუშა, დამლაგებელი, დარაჯი. სკოლაში სულ 26 მასწავლებლია, მათ შორის 3 პედაგოგი წამყვანის სტატუსის მქონეა. პედაგოგების კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: დიპლომი, სერტიფიკატები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით, მათი პოზიციისა და სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში აღწერილი საკვალიფიკაციო მიოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლაში მართვის პოლტიკა და ორგნიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა მიღების პროცედურებით, კონკურსის პირობებიდან გამომდინარე საკონკურსო კომისიების მუშაობით, წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილი სამუშაო ჯგუფებით, სკოლაში შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარებისა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიებში აღწერილი თანამშრომლობითი პროცესებით. სკოლას სტრუქტურისა და პოზიციების შესაბამისად პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით განაწილებული აქვს პერსონალის ანგარიშვალდებულების სისტემა. გუნდურად მუშაობენ და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობენ კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება მონაწილეობის პრინციპს - დაწესებულება უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება. აღნიშნული დოკუმენტის 21-ე მუხლში „თანამშრომელთა მოტივაცია“ გაწერილია მასწავლებელთა წახალისების მატერიალური და არამატერიალური ფორმები, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესის მე-20 მუხლში მოცემულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების

გადაჭრის გზების ძიებაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;*
- *სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *პერსონალის შეფასების წესი;*
- *სამოქმედო გეგმა 2023-2024;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მუშაობის შეფასების წესი, რომელიც მოიცავს სკოლის ყველა ერთეულის შეფასების წესს და პერიოდულობას. შეფასების წესს თან ერთვის გაკვეთილის შეფასების რუბრიკა. სხვა ერთეულების შეფასებისთვის კი მითითებულია დაკვირვების ობიექტი/ობიექტები. ამავე წესით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები, რომელთა შორისაა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება სხვადასხვა გზით და გამოვლენილი პროფესიული საჭიროებების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი; შეფასება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის; სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობა მმართველობითი და ძირითადი პროცესების შეფასების მიზნით. ხარისხი მართვის სამსახური შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემოწმების საგანი და ფარგლები;
ბ) შემოწმების განხორციელების პერიოდი;
გ) ინფორმაცია შემოწმების განხორციელების პროცესის შესახებ;
დ) შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები;
ე) შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციები და ვადები;
ვ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ინფორმაცია და მტკიცებულებები.

დასკვნის პროექტი ეგზავნება დაკვირვების ობიექტს და ემსახურება ხარისხის გაუმჯობესებას.

დირექტორი და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი აფასებს მათ დაქვემდებარებაში არსებულ პირებს მათი სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად პერსონალის საჭიროების გამოვლენაზე პასუხისმგებელია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტი, შეფასება განხორციელდება კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ხარისხის მართვის სამსახური დირექტორთან შეთანხმებული ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახორციელებს შესამოწმებელი პროცესების/კურიკულუმების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც ადგენს პროცესების/პროგრამების შემოწმების წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შემოწმების საფუძველზე სამსახური ადგენს დასკვნის პროექტს, რომელიც მოიცავს შემოწმების ფარგლებში გამოვლენილ მიგნებებს, შეუსაბამობებისა და ხარვეზების გამოსწორების რეკომენდაციებსა და ვადებს. სკოლის პერსონალის/სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგის საფუძველზე ანალიზის გაკეთების და გაუმჯობესების მექანიზმების დაგეგმვის ვალდებულება ეკისრება სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც აფასებს რა თითოეულ მასწავლებელს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ჩართული არიან USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, ხელს უწყობენ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას მათემატიკისა და კითხვის სწავლების მიმართულებით. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის კულტურა, საჭიროებისამებრ მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე და გასცემენ განმავითარებელ ზეპირი უკუკავშირს. სკოლის 2023-2030 სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშემწყობი ამოცანები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მისი შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოებაში ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები, გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირი/პირები და ვადები.

აღნიშნული გეგმის მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს ახალი თანამშრომლის წარდგენა, მისი საკომუნიკაციო ჯგუფებში დამატება, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლის რიტუალების და კულტურის გაცნობა, მისი პროფესიული საჭიროებების შეფასება და მხარდაჭერა.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (მუხლი.20). სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 21-ე მუხლში გაწერილი აქვს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების პროცედურები. სკოლის დანაკლისიანი ბიუჯეტიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სკოლის ბიუჯეტის პროექტში ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული თანამშრომელთა ფულადი პრემია.

სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 31) წახალისებულია კლასის დამრიგებლის/მშობლის ინიციატივა მოსწავლეთა ექსკურსიის მოწყობის მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის მუშაობის შეფასების წესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში #2. 30.11.2022წ.*
- *შინაგანაწესი;*
- *საპროგნოზო ბიუჯეტი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტის დოკუმენტი, რომლის თანახმად, სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა;

სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;
სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა;

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3.სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს შემუშავებული მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საჩივრის განაცხადის ფორმა და განხილვის პროცედურა.
სკოლის მიერ შემუშავებულ „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტში, თავი I, მუხლი 6 არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების პროცედურას. ხოლო, იმავე დოკუმენტში თავი II, მუხლი 4 სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების პროცედურებს.
სკოლის თანამშრომლებსა თუ მოსწავლეთა მშობლებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეუძლიათ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ #15.) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექიმი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი და სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები და სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. ინფორმაცია მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. მასწავლებელთა და სკოლაში დასაქმებული დამხმარე პერსონალის შრომით, სოციალურ -ეკონომიკურ, სამართლებრივ უფლებებს დამატებით იცავს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი.

დოკუმენტს თან ერთვის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომლითაც რეგულირდება სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებები და „სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის მიერ სამოქმედო გეგმით განსახორციელებული აქტივობების გეგმა“ აქტივობის, შესრულების პერიოდის, პასუხისმგებელი პირისა და მტკიცებულების მითითებით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ბრძანება 1/კ-54 2023წ.;*
- *გასაჩივრების პროცედურები;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #2-01 20.01.2023წ.*

- *სკოლის დირექტორის ბრძანება #1/კ-14 24.04.2023წ.*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;*
- *შინაგანაწესი;*
- *დირექტორსა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება #16. 15.09.2022წ.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს გვერდი სოციალური ქსელში, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით, ასევე ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრებზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში.
სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. აღნიშნული წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სკოლის ვებ გვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი

ინფორმაცია; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად, პირადი საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სკოლის დირექციას წერილობითი განცხადებით, რაზეც დირექციის მხრიდან იღებენ მყისიერ უკუკავშირს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. მოქმედი განონმდებლობისა და სკოლის სტრუქტურის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი“ (ბრძანება N 1/კ-51 2023წ.) რომელშიც გაწერილია სკოლაში მოქმედი ყველა ერთეულისა თუ სტრუქტურის ფუნქცია-მოვალეობები.

მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი კი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.
აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის საქმისწარმოების წესი (ბრძანება 1/კ-56);*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;*
- *სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100015041261145*

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, ბრძანება N 1კ-51 2023წ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლის ღობის შიგნით მოქცეულია 2020 წლის დეკემბერში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილის საფუძველზე გამიჯნული 105 კვ.მ. ტერიტორია, რომელზეც განთავსებულია სიღნაღის

რაიონის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის შენობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მოსარგებლედ კვლავ რჩება სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა არსებობის ვადით.

სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია 24 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერით. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი სკოლის „ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით“. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე არის მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი.

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2023 წლის 19 ივლისის დასკვნა სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შესახებ და გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. ვიზიტის ეტაპზე სკოლას განხორციელებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, შენობის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრული იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი „112;

სკოლას ჰყავს ექიმი და შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება No41/ნ/01-23/ნ-ით (2022 წლის 21 მარტი) განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკოლას **არ აქვს შემუშავებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა და სკოლას ჩაბარდა 2021 წლის 5 ოქტომბერს, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ხოლო ქონების უსასყიდლოდ, გრანტის სახით, გადაცემა მოხდა 2022 წლის 14 თებერვალს. მიუხედავად ამისა, სკოლას **არა აქვს დასკვნა შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე.**

სკოლას მიეცა რჩევა, ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
ვინაიდან, არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან და არ არის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით სკოლა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნას მოიპოვებს და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას შეათანხმებს შესაბამის ორგანოსთან 11 თვის (5 ოქტომბერი, 2023წ. - 30 აგვისტო, 2024 წ) პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეათანხმოს იგი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, ასევე, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს დასკვნის მოპოვება შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე.

2.სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, ბრძანების საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. ნიმუშის სახით წარმოდგენილია სკოლის მრჩველთა საბჭოს 2023 წლის 1 თებერვლის ოქმი #3, რომელშიც განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვება სასწავლო პერიოდში და თავშეყრა; სოფლის ტერიტორიაზე, მიტოვებულ სახლში, მაღალი კლასის მოსწავლეების თავშეყრა; პრობლემების მოგვარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა შემდგომი რეაგირებისთვის. აღნიშნული ოქმითვე სკოლის დირექტორს დაევალა მრჩეველთა საბჭოს შემდეგ სხდომაზე ანგარიშის წარდგენა რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია დამრიგებლის ვალდებულება, დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია საკუთარ გაკვეთილზე, კლასში, წესრიგის და დისციპლინის დაცვის ვალდებულება და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა; სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის

უსაფრთხო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სკოლის მიერ წარმოდგენილი, პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმით #1 დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობები ამ მიმართულებით.

ბრძანებით დამტკიცებულია მორიგე მასწავლებელთა განრიგი. ასევე, ბრძანებით განსაზღვრულია სკოლაში შემომომსვლელ პირთა აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე, მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული, სერტიფიცირებული, სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის მოვალეობაა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა; აღკვეთოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდინარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევები, ასევე მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს; გამოავლინოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაცია, შეასრულოს მედიატორის როლი და მოაგვაროს კონფლიქტი და სხვა. ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატურის სამსახური, სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის შინაგანაწესში, მუხლი 1, 2, 14, 23, 29, 32 მოხსენიებული ტერმინი „მანდატური/უფლებამოსილი პირი“ დააზუსტოს და მიუთითოს სკოლის საშტატო ერთეულით განსაზღვრული - „ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი“.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფიზიკური უსაფრთხოებისა და პროცესების დაცვის უზუნველყოფის მექანიზმი, რომლის ერთ-ერთი მიზანია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; აღნიშნული დოკუმენტით სკოლა იღებს ვალდებულებას სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლა, ასევე ვალდებულია, საკუთარი ძალებით თუ სხვა ორგანიზაციების დახმარებით, სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესი; სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას

მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #5 (04.07.2023წ).

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. პირადი ჰიგიენის საშუალებები განთავსებულია იზოლირებულ საცავებში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციით. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში, ყველა სართულსა და ყველა ფლიგელშია განთავსებული, სულ 24 სველი წერტილი, მათ შორის 2 ადაპტირებული სველი წერტილი, 1 გოგონებისთვის და 1 ვაჟებისთვის. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ხელსაბანის რაოდენობა აღემატება ჰიგიენური კაბინების რაოდენობას. პერიმეტრზე. სკოლის სანიტარულ ჰიგიენური კვანძები აღჭურვილია სათანადო საშუალებებით: ქაღალდის ხელსახოცები, თხევადი საპონი, ტუალეტის ქაღალდი, სადეზინფექციო ხსნარი, აეროზოლები და სხვა. სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის თანახმად, სკოლის ექიმი ვალდებულია განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ. სკოლამ დამატებით წარმოადგინა სკოლის დეზინფექციის ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი (2022-2023წწ) და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამუშაო გეგმა 2023-2024 სასწავლო წლისთვის, სადაც ასევე გათვალისწინებულია სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო ღონისძიებები.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის, პერსონალური მონაცემთა დამუშავების და დაცვის პრინციპებს, გამოყენების მიზნებს და სხვა. აღნიშნულ დოკუმენტს თან ახლავს თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ საქმეთა მმართველსა და დამრიგებლებს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე ფოსტით გადაეგზავნება მიმღებ სკოლას. სკოლაში დაცულია სკოლის პერონალის პირადი საქმეები.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის მეათე მუხლით განსაზღვრულია ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები:

1. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი.
2. სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ.
3. დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას.

წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ. სკოლის დამხმარე პროცესების შემოწმებისათვის შეირჩევა სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი შესამოწმებელი ობიექტის შეფასების კითხვარის საფუძველზე, რომელსაც ავსებენ პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების შედეგად რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შენობის მიღება-ჩაბარების აქტი 14.02.2022წ;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს უფროსის წერილი #5 23 02132502 24.07.2023წ, მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ;*
- *ფიზიკური უსაფრთხოებისა და პროცესების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი;*
- *ბრძანება 1ჯ-48 სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;*

- *სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #3 01.02.2023წ.*
- *კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #1. 12.01.2023წ.*
- *პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმი #5 04.07.2023წ.*
- *მტუკის სამოქმედო გეგმა 2023-2024;*
- *ობიექტის დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი;*
- *ხანძარსაწინააღმდეგო აღრიცხვის ჟურნალი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. ბრძანება 1/ვ-54 2023წ.;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლა, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, განთავსებულია 10013.00 კვ.მ. ფართობზე რეაბილიტირებულ შენობაში. სკოლის ფართი (საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა, სააქტო და სპორტული დარბაზები) იძლევა საშუალებას, მოსწავლეები სასწავლო პროცესში ჯეროვნად ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში, შესვენებებზე კი სრულფასოვნად დაისვენონ. მერხები და სკამები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია, ყველა კლასში არის დაფა. სკოლა ფლობს და იყენებს 28 კომპიუტერს (ყველა მუშა მდგომარეობაშია, ამათგან 22 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში. აღსანიშნავია, რომ არცერთ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 22-ს), 4 პრინტერს, 5 პროექტორს, 1 ხმის გამაძლიერებელს. სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული მოედნები. დახურულ სპორტულ მოედანთან მდებარეობს გოგონათა და ვაჟთა გასახდელი, ოთახები ინდივიდუალურად საკეტიანი კარადებითურთ და ინვენტარის შესანახი სივრცე. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სპორტული აქტივობებისთვის საკმარისი რესურსით არის სკოლა უზრუნველყოფილი (ფრენბურთის ბადეები, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ჩოგბურთის ბურთები, ლახტები, ფარები, წელის რგოლები, შვედური კედელი...). სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები. ლიფტით გადაადგილება შესაძლებელია სკოლის შენობის ყველა სართულზე. აქვს სააქტო დარბაზი და საგრიმიორო სივრცე. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება საცავისა და სამკითხველო სივრცისაგან. სივრცე მყუდრო და გამოყენებისთვის სათანადოა. ბიბლიოთეკარს აღრიცხული აქვს თითოეული წიგნი როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, დამოწმებული აქვს ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას აქვს რესურსოთახი.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებელია

2. სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით სარგებლობა ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია და სოციალიზაციისათვის ეფექტურ პირობებს ქმნის. გარდა ბიბლიოთეკისა, რესურსოთახისა, კომპიუტერული თუ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისა, სააქტო და სპორტული დარბაზებისა/მოედნისა, სარეკრეაციო ზონებიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის. მაგალითად, მეორე სართულის დერეფანში გამოყოფილია სივრცე, რომელშიც გამოფენილია ამავე სკოლის პედაგოგთა მიერ მოპოვებული სიძველეები, ფაქტობრივად, სივრცე მუზეუმის როლს ასრულებს და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის დათვალიერებისას და ინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ ეზოც ხშირად არის გამოყენებული მიზნობრივი აქტივობებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებელია

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. კერძოდ, სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის, რაც გამოიხატება იმით, რომ უკლებლივ ყველა სივრცე ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მოსწავლისთვის. ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობილია ცალკე გოგონებისა და ცალკე ვაჟებისთვის. სკოლაში არის პანდუსი და ლიფტი მუშა მდგომარეობაში. ყველა სართულზე განთავსებულია ვიზუალური მანიშნებლები.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. მაგალითად, სკოლის ეზო, რომლის სივრცეშიც სკოლის ძველი შენობის ნანგრევებია შემონახული, მინდორი მოწესრიგებული და ლამპიონებით აღჭურვილია, გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებელია

5. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. ადგილზე დათვალიერებამ ცხადყო, რომ სკოლა უხვად ფლობს საჭირო საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის სხვადახვა

სახის თვალსაჩინოებას: რუკებს, პლაკატებს, მოდელებს. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით გამართული და სასწავლო რესურსებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა. ყველა საგნისთვის (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) არსებობს კაბინეტები და დამხმარე ოთახები ლაბორატორიისათვის. ქიმიის კაბინეტში ყველა მერხთან დამონტაჟებულია სველი წერტილი ცდების და ექსპერიმენტების ჩასატარებლად. აქვთ, ასევე, გამწოვი კარადა. ლაბორატოიებში არის შესაბამისი ხელსაწყოები: სინჯარები, კოლბები, სხვადასხვა ნივთიერებები და ეს ყველაფერი განლაგებულია კარადებში, რომლებსაც აქვთ წარწერები. კედლებზე გაკრულია შესაბამისი საინფორმაციო პლაკატები უსაფრთხოების წესების დასაცავად. ასევე, ყველა საჭირო სასწავლო რესურსი. ბიოლოგიის კაბინეტში მოწესრიგებულადაა განლაგებული მულაჟები, სხვადასხვა თავლსაჩინოებები, აქვთ 2 მიკროსკოპი. ყველა კაბინეტის ლაბორატორიებში არის სველი წერტილი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი როგორც ღია სპორტული მოედანი, ასევე დახურული სპორტული დარბაზი. სპორტული დარბაზის გვერდით მოწყობილია ინდივიდუალური ჩასაკეტი კარადებით აღჭურვილი გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სპორტული ინვენტარის შესანახი ოთახი. ისტ-ის მიმართულებით მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტიდან;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *დოკუმენტი „საზიარო სივრცე“.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სულ 33 კომპიუტერია. კომპიუტერები მიღებულია სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში- პროგრამა " მომავლის თაობა“. სკოლის ყველა კომპიუტერი არის მუშა მდგომარეობაშია. აქედან, სკოლის დირექციის სარგებლობაშია 3 ცალი პორტატული კომპიუტერი. 1პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია ექიმის კაბინეტში, 1 საქმისმწარმოებელთან, 1 რესურს ოთახში. სკოლას ასევე აქვს 5 პროექტორი და 4 პრინტერი. სკოლაში არ არის Wi-Fi, თუმცა სკოლის ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია კაბელური ინტერნეტით, კედელში ჩამონტაჟებული ჩამრთველებით. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება 40MGPS სიჩქარით.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტზე „საზიარო სივრცე“, რომელიც ადგენს სკოლის მატერიალური, ინფორმაციული ტექნიკური მოწყობილობების ექსპლუატაციის და სარგებლობის წესს, დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლაში მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეა: სამასწავლებლო და კომპიუტერული კლასი. დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლების მხარდაჭერა საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას. სამასწავლებლოში განთავსებულია სულ 6 კომპიუტერი : 1 ცალი LENOVO B 590. მიღების წელი -2013 წ. (ლეპტოპი) 5 ცალი LENOVO V 15 G2 ALC - მიღების წელი 2021 წ. კომპიუტერულ კლასში: სულ 27 ცალი კომპიუტერი : 1 ცალი პორტატული კომპიუტერი HP 15 მიღების წელი 2020 წ. 26 ცალი პორტატული კომპიუტერი LENOVO V 15 G2 ALC მიღების წელი 2021 წ. მასწავლებლებს წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ექნებათ შესაძლებლობა აღნიშნულ სივრცეებში განთავსებული კომპიუტერები

გამოიყენონ გაკვეთილის მსვლელობაში. მასწავლებლისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. გარდა ამისა, მის ფუნქცია-მოვალეობებშია: კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობა; ოპერაციული სისტემების შერჩევა, დაყენება და ოპტიმიზაცია; კომპიუტერული პროგრამების განახლება, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერა.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;*
- *დოკუმენტი „საზიარო სივრცე";*
- *პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი, ბრძანება N 1კ-51 2023წ.*
- *ინვენტარიზაციის დოკუმენტი.*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და

შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებელია

2.სკოლა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3.სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი, სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა სრულად, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი ბრძანება 1/ვ-56;*
- *სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ფეისბუქგვერდი, რომლებიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებ გვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული გვერდის საშუალებით, ასევე შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს სხვადასხვა მიმართულებით: ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა; ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ რესურსები: ვებგვერდი, ელ-ფოსტა და სოციალური არხები; შიდა და გარე კომუნიკაცია; მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა; უკუკავშირის შედეგები და ანალიზი.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის ისტორია, მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა, ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განხორციელებული, შესაბამისად გასაჯაროებული.

სკოლის ვებ. გვერდი არ მოიცავს ინფორმაციას სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ.

სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მოქმედ ვებ გვერდზე ატვირთოს სკოლის შინაგანაწესი.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყოფს ვებ. გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვას.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის მოქმედ ვებ. გვერდზე სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ასევე მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი* **https://shorturl.at/ckwRU**
- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სტრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდის შესახებ. თითოეული სტრუქტურა აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესყიდვების შესახებ. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ დასტურდება სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 დეკემბრამდე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენილი ანგარიშით. ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვეტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენდეს სკუთარი ფინანსურ ანგარიშს. სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს. ამდენად, ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია. ხორციელდება პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე).

სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლის მომსახურეობის შესყიდვა. სკოლაში ინტესიურად მიმდინარეობს შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი. დირექტორის ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტონულ სისტემაში e PLAN მუშაობს სკოლის შეყიდვების კოორდინატორი - სკოლის ბუღალტერი. პერიოდულად სკოლაში ტარდება ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. შესყიდვის წესის შესაბამისად ხორციელდება ბაზრის კვლევა და ხორციელდება შესყიდვები.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს;*

- *სკოლის მოქმედი ბიუჯეტი;*
- *2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;*
- *შედარების უწყისი (მცირეფასიანი) 01.01.2023წ.*
- *ცვეთის გაანგარიშების უწყისი 01.01.2023წ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ მიმდინარე წლის 4 სექტემბერს, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი #4) განიხილა და დაამტკიცა სკოლის შინაგანაწესი, რომელიც სკოლა მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების

უზრუნველყოფას ახორციელებს შემდეგი მუხლებით: მუხლი 21. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 26. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა; მუხლი 27. მოსწავლის მიერ დისციპლინურ გადაცდომაზე პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 29. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; მუხლი 32. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება; სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს.

სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები.

მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ქულების დაანგარიშების მექანიზმები, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის ჩატარების წესები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ.

სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სასკოლო რეგულაციების განმსაზღვრელი სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში. იგი ასევე განიხილება, როგორც სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი და ეცნობა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში, რაც დასტურდება ხელმოწერით.

სკოლის ფოიეში გამოკრულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო ყველა საკონტაქტო პირისა და ცხელი ხაზის ნომერი.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ორივე მხარეს უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტისა და მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, სხვა დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერებს.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შინაგანაწესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023სასწ. წელი;*
- *სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. წარმოდგენილი წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მოსწავლის პარალელურ კლასში გადაყვანას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მობილობის, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესს, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვის, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესებსა და პროცედურებს. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის მოქალაქის განცხადების ფორმის ნიმუში და დოკუმენტის შედგენის მარეგულირებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის No04/ნ და 2010 წლის 1 ოქტომბრის N98 /ნ ბრძანებებთან.

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები შესულია ასევე სკოლის შინაგანაწესის 36-ე და 37-ე მუხლში. სკოლის საქმისმწარმოებელი აწარმოებსს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვას სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს. მტკიცებულების სახით სკოლამ დამატებით წარმოადგინა ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ (ბრძანება N 2-07 და 2-01).

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე, მკაფიო და კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის

შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი
ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ოფიციალურ ვებ.გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებულია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის თანახმად, ვებ. გვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებლად საჭირო ინფორმაცია ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს, სკოლის საინფორმაციო მენეჯერს, მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ; ასევე, დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე.
ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საზოგჰადოებასთან ურთიერთობის წესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;*
- *დამრიგებლის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“. აღნიშნული წესით განისაზღვრება სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის, პირველ კლასელის, სსსმ მოსწავლის სასკოლო სივრცეში ადაპტაციის დეტალური ინსტრუქცია. წესის შესაბამისად, დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მოცემულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისთვის, დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. ამავე წესით განსაზღვრულია საბავშვო ბაღის სასკოლო ასაკის აღსაზრდელების მოწვევა სკოლაში, შენობის დათვალიერების, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენების, სპორტულ და მხატვრულ ღონისძიებებზე დასასწრებად, სასკოლო გარემოსთან შეგუების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2.სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ნამდვილად უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი დოკუმენტი, „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ სკოლის პრაქტიკასთან შესაბამისია.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3.დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულია დამრიგებლის ვალდებულებები, გააცნოს მოსწავლეს/მშობელს სასკოლო სასწავალო გეგმა, სადაც გაწერილია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები. კერძოდ, სემესტრის მიმდინარეობისა და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან ინდივიდუალურად მიაწოდონ მშობლებს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები. სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის შემაჯამებელი ოქმით დასტურდება სკოლის პრაქტიკა, ქულის ამაღლების მიზნით, სემესტრული გამოცდის ჩატარების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის“ თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წინასწარ აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს საჭირო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას კლასისა და საფეხურის დაძლევის შესახებ. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, სკოლას განსაზღვრული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენება დაგეგმვის ეტაპზე და მოცემული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. სკოლას აქვს პრაქტიკა, მათ მიერ დაგეგმილი დიაგნოსტიკური წერების შედეგების საფუძველზე, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაში, დაგეგმოს შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები.

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (ხელშეკრულება მშობელთან, მშობელთა კრების ოქმი, კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების,

შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ფეისბუქგვერდზე. სკოლაში ფუნქციონირებს და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული ლიტერატურული და სპორტული კლუბები. სკოლაში 2014 წლიდან ფუნქციონირებს ეკო კლუბი „ფესვები“, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი. სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილია ეკოკოდექსი.
სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მშობელთა თხოვნის საფუძველზე შექმნილ ცეკვის წრეს, რომელსაც ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არ არის დასაქმებული აღნიშნულ სკოლაში.
სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6.სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება დამრიგებლების საშუალებით, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას.
სკოლაში მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე შექმნილია ცეკვის წრე.
მშობლებმა მონაწილოება მიიღეს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში სპეციალურად შექმნილი კითხვარითა და პირისპირ შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების საშუალებით.
სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინებას სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ადაპტაციის წესი;*

- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;*
- *სკოლის ხელშეკრულება მშობელთან;*
- *მშობელთა კრების ოქმი;*
- *კლასის დამრიგებლის სამოქმედო გეგმა;*
- *ცეკვის წრის სამოქმედო გეგმა და აღწერილობა;*
- *ცეკვის წრის მასწავლებლის ხელშეკრულება;*
- *ეკოკლუბის აქტივობები;*
- *ეკო კოდექსი.*

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა, მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობს სსიპ კოლეჯ „აისთან“. მემორანდუმის ფარგლებში მოსწავლეებს უტარდებათ პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსი. კოლეჯი უზრუნველყოფს კურსის ფარგლებში საჭირო რესურსების გადაცემას სკოლისთვის, რომელსაც სკოლს მხოლოდ მიზნობრივად იყენებს.
დამრიგებლის უფლება-მოვალეობი ითვალისწინებს მათ ვალდებულებას, უზრუნველყოს მოსწავლეთა ყოველმხრივ შესწავლა, მათი მიდრეკილებების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამოვლენა. დამატებითი დოკუმენტაციის სახით სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 ივნისს სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩატარებული მოსწავლეებთან შეხვედრის ოქმი, სადაც

განხილულია პროფესიული ორიენტაციის საკითხები. კერძოდ, რა პროფესიებს ვირჩევთ, რატომ არის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო არჩევანის გაკეთება.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებს, საკლუბო და საწრეო მუშაობას.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავების პროცესში მშობელთა ჩართულობა, შესაბამისად სკოლა, კრებებისა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით, აწვდის მათ ინფორმაციას მოსწავლეთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა სხვადასხვა კოლეჯებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სანდო ინფორმაციას.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, შექმნას მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი კლუბები. სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს კურსდამთავრებულთა კვლევას, რათა დაადგინოს, რამდენად დაეხმარა მათ სკოლა არჩევანის გაკეთებაში. სკოლა გეგმავს შეიმუშაოს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმა და მოიწვიოს სხვადასხვა დარგის სპეციალიტები მოსწავლეებთან სასუბროდ.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პროფესიული ორიენტაცია- სადამრიგებლო საათის ოქმი #11. 14.06.2023წ.*
- *დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები;*
- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 16.08.2022წ.*

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები. მოსწავლეთა ადაპტაციის წესით სკოლა არეგულირებს სსსმ მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. სკოლაში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელთაც ევალებათ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი, რომლებიც ხელს უწყობენ სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფასა და ინტეგრაციას სასკოლო სივრცეში. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა წარიმართება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და სკოლის შიგნით ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შეფასებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. სკოლა ახერხებს სსსმ მოსწავლეების ჩართვას არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში.
სსსმ მოსწავლეთა მართვას სკოლა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობებისა და რეგულაციების საფუძველზე.
ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურსოთახი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი რათა სსსმ მოსწავლეებმა მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს ს.ს.ს.მ მოსწავლეების უმტკივნეულო ტრანზიციის მიზნით. სკოლა ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებს მოსწავლის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით, რათა მოხდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და საკლასო სივრცის მოწყობა ამ ყოველივეს გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლისთვის იქმნება ინდივიდუალური დასწრების გრაფიკი. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეციალური

მასწავლებლები, მოსწავლის ასისტენტი, ფსიქოლოგი. სწავლის პროცესი მუდმივად ახლდება რესურსებით და აქტივობებით, ვიზუალური ბარათებით, შემეცნებითი სათამაშოებით რათა საინტერესო იყოს მოსწავლეებისთვის მუშაობის პროცესი. ასევე იყენებენ კომპიუტერულ სახალისო აქტივობებს. სკოლის სპეციალურმა მასწავლებლები თავადაც ქმნიან საჭირო რესურსებს, მათ შორისაა „სენსორული დაფა". ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას. დგება შეხვედრის ოქმი.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;*
- *ინდ.გეგმების შემუშავების რეგულაცია;*
- *ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა 2022-2023;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;*
- *ისგ.ჯგუფის სხდომის ოქმი #4 21.06.2023წ;*
- *შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა 27/05 – 3/06 2023წ;*
- *ფსიქოლოგის მუშაობის ანგარიში 05.07.2023წ.*

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას. აღნიშნული მომსახურეობა ხორციელდება ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამით. დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომლიდანაც ირკვევა, რომ მუდმივად სკოლა ახორციელებს რაიონული რესურსცენტრის ინფორმირებას პროგრამის შესაბამისი კრიტერიუმებით შერჩეული მოსწავლეების შესახებ, მიღებული მომსახურეობის ტაბელი და ინფორმაცია მძღოლის შესახებ.

დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება - ცეკვის წრე, მისი სამოქმედო გეგმა და აღწერილობა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია, რაც თავის მხრივ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს. ესენია, ტრანსპორტი, კლუბები და ცეკვის წრე. კლუბები იქმნება მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივის საფუძველზე და მასში მოსწავლეები ინტერესისა და სურვილის მიხედვით რეგისტრირდებიან. კლუბების საქმიანობის განხორციელების შედეგები განიხილება პედაგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომებზე. ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება ცეკვის წრე შექმნილია მშობელთა და მოსწავლეთა სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე. მომსახურება ნებაყოფლობითია და და დაცულია კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები. ცეკვის მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3.დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება ცეკვის წრე ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით, შექმნილი და შეთავაზებულია მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე და ითვალიწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომის ოქმი #5 04.07.2023წ.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი #1 18.10.2022წ.*
- *ცეკვის წრის სამოქმედო გეგმა და აღწერილობა;*
- *ცეკვის წრის მასწავლებლის ხელშეკრულება.*
- *ლიტერატურული კლუბის საქმიანობის რეფლექსია;*
- *ეკო კლუბის აქტივობები;*
- *ეკო სკოლის აქტივობები;*
- *ეკოკოდექსი;*
- *კლუბის განაცხადის ფორმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ,,სასკოლო კურიკულუმების შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპებს. აღნიშნული დოკუმენტზე დაყრდნობით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება საგნების სტანდარტები კლასების მიხედვით, მოსწავლის ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე თემები და კომპლექსური დავალების რაოდენობები. კურიკულუმის შექმნის პროცესი სკოლას გაწერილი აქვს კათედრის სხდომის ოქმშიც. აქვე გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის (I—VI კლასები) სსსმ მოსწავლეების საჭიროებაზე მორგებული კურიკულუმის შემუშავება. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა კათედრის წევრთა ერთსულოვნება დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლების თანამშრომლობა, სასწავლო პროცესის გაუჯობესებაზე ზრუნვა, სიახლეებზე ორიენტირი და ნათლად გამოიკვეთა, რომ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მოწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უშლიდა ან უწყობდა ხელს მათ ჩართულობას; მოსწავლეთა შედეგები, რამდენად გაუმჯობესდება წინა წელთან შედარებით. მშობელთა ჩართულობა, რამდენად შეძლეს მათ მისიის, ხედვისა და სასკოლო კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ პრიორიტეტებთან. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება საგნების სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ნიმუშები და მოსწავლეთა შექმნილი ნამუშევრები (მაგალითად, ეკოსისტემებისა და მზის სისტემის მოდელები, მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტები ჰაერის დაბინძურების, ვირუსული დაავადებებისა და სხვა. თემებზე) ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, გათვალისწინებულია თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, ამ მიზნით მშობლები ავსებენ კითხვარებს. კითხვარების საფუძველზე ხდება მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები შექმნილია კათედრის წევრების ჩართულობით და თანამშრომლობით. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმის შემუშავებაში გაწერილია კათედრის სხდომის ოქმში, ასევე, ამ პროცესში ჩართულია სკოლის დირექციაც. პირისპირ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე სამუშაო შეხვედრების დროს მსჯელობენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას წარმოქნილ პრობლემებზე და უზიარებენ ერთამნეთს საკუთარ გამოცდილებებს და აკეთებენ ანალიზს. საჭიროებისამებრ ცვლიან კომპლექსური დავალებების პირობებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში

მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თითოეული მასწავლებელი აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების საშუალებებს, ესენია: ბეჭვდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი, 1-ელი - მე-6 კლასის კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები); მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია სამინისტროს მიერ მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. ხოლო უცხოური ენების კათედრამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 1-ელიდან მე-6 კლასების ჩათვლით კურიკულუმები, რის საფუძველზეც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. კურიკულემებში გათვალისწინებულია, როგორც შუალედური(კომპლექსური დავალებები), ისე გრძელვადიანი მიზნები(სამიზნე ცნებების სახით) მართალია, კურიკულუმის ჩარჩო მეტწილად შევსებულია, თუმცა, არის თემები, რომლებშიც კომპლექსური დავალების პირობა არ არის შემუშავებული, მაგრამ განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები. საბოლოო ჯამში, მოწოდებული კურიკულუმებისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის საშუალებას. სახელმწიფო ენის მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. სავარაუდოა, რომ თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით ყველა კლასის კურიკულუმი სრულყოფილ სახეს მიიღებს. მათემატიკაში გათვალისწინებულია მოსწავლეებისადმის დიფერენცირებული მიდგომა, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული კომპლექსური დავალება. კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების (ი.ს.ტ) კურიკულუმითაც დასტურდება, რომ კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმივისა და განვითარების გზას. მაგალითად, მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოსწავლეები ჯერ ეცნობიან ინტერნეტ ქსელის შესახებ ინფორმაციას, ასრულებენ დავალებას „სკოლის შიდა ქსელი“ და შემდეგ ამზადებენ პოსტერს/პრეზენტაციას სადაც თანატოლებს ესაუბრებიან ვირტუალურ და ფიზიკურ გარემოზე. მე-2 კლასი ი.ს.ტ.).

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, იმავეს ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და სხვა, რაც დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. მაგალითად, სკოლას აქვს მზაობა, ჩაატაროს სხვადასხვა კათედრის პედაგოგებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილები, ნარჩენების მართვის თემაზე. აღსანიშნავია, რომ მათემატიკის სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით. გათვალისწინებულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს ექვსივე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებასა და გაცნობიერებას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები,

ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებასა და განხორციელებას. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტებში იძებნება სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, ქართულ ენასა და ლიტერატურის სწავლებისას პირველი და მესამე კლასელი მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ადაპტირებული კომპლექსური დავალება, ქართულ ენასა და ლიტერატურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა პირველკლასელი მოსწავლისთვის, რაც ადასტურებს, რომ კათედრის წარმომადგენლები აცნობიერებენ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავენ შესაბამისად. უცხოური ენების სწავლებისას დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს მიმართავენ, კერძოდ, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგები ახდენენ საბოლოო პროდუქტის დიფერენცირებას, ან რიგ შემთხვევებში სასწავლო მასალის დიფერნცირებას, საჭიროებისამებ ითვალისწინებენ გარემოებებს. საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ კომპლექსური დავალების „შენის საოცნებო სოფლის გეგმა“ პირობაში პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანს, საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად თაბახის ფურცელი და ფერადი ფანქრები, ან პროგრამა „ვსწავლობ თამაშით“. გარდა ინსტრუმენტისა, ასევე, სთავაზობს პროდუქტის არჩევასაც: ნახატი ან ელექტორნული ილუსტრაცია. ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრსა და მეექვსე კლასებში. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა იყენებს როგორც მოსწავლეების მიერ

თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებასაც, რადგან ერთ-ერთ რუბრიკაში მოცემულია გრაფა ''მე'' და კიდევ მეორე გრაფა ''თანაკლასელი/ან მასწავლებელი''. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების პროცესში ჩართულნი არიან თავად მოსწავლეებიც, აფასებენ როგორც ერთმანეთის მუშაობას, ისე საკუთარ ნაშრომს და გასცემენ რჩევებს/რეკომენდაციებს. წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის: 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს, ხოლო შეფასება ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მე-5 და მე-6 კლასებში, განმავითარებელი შეფასების გარდა, მოხდება მოსწავლეების შეფასება განმსაზღვრელი შეფასებითაც. სკოლას წარმოდგენილი აქვს მათემატიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასევე არის ზოგადი და ყოველი საკითხის სწავლების დროს შეფასებისთვის მოხდება მისი ადაპტირება.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს კათედრების გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგემვას. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება. სკოლამ გადაწყვიტა ყოველ კლასში განახორციელოს ორი კომპლექსური დავალება და მოსწავლეთა მუშაობაზე დაკვირვების შედეგად მომავალ სასწავლო წელს მოახდინოს კურიკულუმების გადასინჯვა. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხური კურიკულუმი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ისგ მათემატიკაში;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. მაგ.: "მიკრობები და ჯანსაღი ცხოვრების წესი", "კლიმატის ცვლილება", "გავუფრთხილდეთ დედამიწას". ეს ყველა აქტივობა დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც პედაგოგებმა წარმოადგინეს პირისპირ ინტერვიუს დროს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს შემოქმედებით

პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობა უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების შეთავაზებით და მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კლუბის საქმიანობაში მონაწილეობა სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია და, ასევე, სხვა სკოლის მოსწავლეებსაც - სურვილის შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობა, შინაარსი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მაგალითად, უცხოური ენების საბოლოო დავალების პროდუქტის წარდგენამდე ხდება ჯერ არსებული მასალის განმეორება გონებირივი იერიშის საშუალებით. წინარე ცოდნის გაქტიურების შემდგომ ხდება სხვა თემების განხილვა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას:(მაგ.: "როგორ დავიცვათ გარემო", "ჯანსაღი ცხოვრების წესი" და ა.შ.) მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.დაწყებით კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და მათემატიკის კურიკულუმები. ტექნოლოგიების პედაგოგის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების შენი საოცნებო სოფელი“ მატრიცის მიხედვით, პროდუქტის

პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვებს. აღნიშნული კითხვები კი იმგვარად არის ფორმულირებული, რომ მოსწავლეს შეუძლია გავიდეს ცოდნის სამ კატეგორიაზე, მაგალითად: რა იცით პროგრამა ვსწავლობთ თამაშის შესახებ? *(დეკლარატიული)*; როგორ შემოგვაქვს გარემო,გამოსახულება და ხმები?? *(პროცედურული)*; შეძლებ თუ არა პირობითი ნიშნების წაკითხვას და მათ გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში? *(პირობისეული)*

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოიცავს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე, კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები ("დედამიწა ჩვენი სახლია", ჯანსაღი ცხოვრების წესი" მიკრობები ჩვენს გარშემო", დავიცვათ ბუნება" და ა.შ.) მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც.კერძოდ, უცხოური ენების ერთ-ერთი კლასის კურიკულუმში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება: მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს პოსტერი საყვარელი წელიწადის დროების შესახებ და თან ახსნას, რატომ არის მისთვის განსაკუთრებით საყვარელი. ასევე, ერთ-ერთ კლასში მოსწავლეებს უნდა დაეწერათ ამბავი, რა გადახდათ თავს კუნძულზე და მოუყვნენ კლასს საკუთარ თავგადასავალს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებით (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის

ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობასა და ვალიდურობას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების, შეფასების სისტემის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ვერიფიკაცია ხდება შერჩევით. მაგ: ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 10-20%, ხოლო მთელი კლასის დონეზე მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად ფასდება, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდგომი რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგადი დებულება; შეფასება და მისი სახეები; სკოლის შეფასების მოდელი; ვერიფიკაციის პროცედურები (რაც თავის მხრივ მოიცავს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს); რისკებსა და გარდამავალ დებულებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 1.3.3. „კურიკულუმის დანერგვა“ თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების/მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას მინიმუმ 3 წლის ვადით. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტაცია შეინახება კათედრის პორტფოლიოში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრასთან ინტერვიუებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანა წესი და სხვ.) დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი,

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. აგრეთვე სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლა აღნიშნავს, რომ მათვის მნიშვნელოვანია საგნობრივი კათედრების, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის მხარდაჭერა, გაძლიერება სკოლაში.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესი, მასწავლებლებთან ინტერვიუ და, აგრეთვე, სხვა დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი და სასწავლო პროცესში პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო, მართლაც, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

2. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, მონიტორინგი და შეფასება რამდენად ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ვერ შეფასდა. შესაბამისად, ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

3. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად, ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს, მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით, მოსწავლეს კი მისცემს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლაში წარმატებით გამოყენებულია შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ჯგუფური და პრეზენტაციების შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში. სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი წერის ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკით. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება დიაგნოსტიკური წერების განხორციელება. მაშასადამე, მოსწავლის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება მრავალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყოველ საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. წარმოდგენილია სხვადასხვა საგნის მასწავლებლების მიერ განხორციელებული რამდენიმე ინტეგრირებული პროექტი, სკოლის ციფრული განვითარების გეგმა და სხვა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ

ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდების დანერგვას: სადიაგნოსტიკო ტესტირებას, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სოლო ტაქსონომიის შეფასების რუბრიკას, დაკვირვების ფურცლებს და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. მონაცემთა შეგროვების ჩამოთვლილი მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას უზრუნველყოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსურ დავალებების შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშობა, სკოლის დირექცია. ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შეიმუშვებს რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან მონიტორინგი და შეფასებები აჩვენებს თუ რამდენად დასძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები. ასევე, გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (ინგლისურ ენაში სადიაგნოსტიკო ტესტი, ბიოლოგიაში შემაჯამებელი დავალების ანალიზი) ჩანს, რომ სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისა და ანალიზის გამოყენების მცირე პრაქტიკა. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასლაების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგებზე დაკვრვებისა და მონიტორინგზე დაყრდნობით საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეიტანენ ცვლილებებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ,,სასკოლო კურიკულუმების შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპებს. აღნიშნული დოკუმენტზე დაყრდნობით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება საგნების სტანდარტები კლასების მიხედვით, მოსწავლის ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე თემები და კომპლექსური დავალების პირობები. კურიკულუმის შექმნის პროცესი სკოლას გაწერილი აქვს კათედრის სხდომის ოქმშიც. აქვე გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის სსსმ მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების ადაპტირებული კურიკულუმის შემუშავება. პირისპირ ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ხდება მშობელთა თანამონაწილეობა, მათი აზრის გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება საგნების სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ნიმუშები და მოსწავლეთა შექმნილი ნამუშევრები ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, გათვალისწინებულია თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, ამ მიზნით მშობლები ავსებენ კითხვარებს. კითხვარების საფუძველზე ხდება

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.საბაზო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები შექმნილია კათედრის წევრების ჩართულობით და თანამშრომლობით. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმის შემუშავებაში გაწერილია კათედრის სხდომის ოქმში, ასევე, ამ პროცესში ჩართულია სკოლის დირექციაც. პირისპირ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე სამუშაო შეხვედრების დროს მსჯელობენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას წარმოქნილ პრობლემებზე და უზიარებენ ერთამანეთს საკუთარ გამოცდილებებს და აკეთებენ ანალიზს. საჭიროებისამებრ ცვლიან კომპლექსური დავალებების პირობებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია საბაზო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თითოეული მასწავლებელი აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭვდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი ;*
- *კათედრის შემაჯამებელი ოქმი(რესურსი 12)*
- (https://sway.office.com/byjKG69kX3jKAHgM?ref=Link)

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის, მე-7 - მე-9 კლასების კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები); მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას ყველა კლასისთვის წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. ხოლო უცხოური ენების კათედრამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები, რის საფუძველზეც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. კურიკულემებში გათვალისწინებულია, როგორც შუალედური(კომპლექსური დავალებები), ისე გრძელვადიანი მიზნები(სამიზნე ცნებების სახით) მართალია, კურიკულუმის ჩარჩო მეტწილად შევსებულია, თუმცა, არის თემები, რომლებშიც კომპლექსური დავალების პირობა არ არის შემუშავებული, მაგრამ განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები. საბოლოო ჯამში, მოწოდებული კურიკულუმებისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის საშუალებას. კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, იმავეს ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და სხვა, რაც დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. მაგალითად, სკოლას აქვს მზაობა, ჩაატაროს სხვადასხვა კათედრის პედაგოგებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილები, ნარჩენების მართვის თემაზე. გათვალისწინებულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებასა და გაცნობიერებას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. სწავლებისას დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს მიმართავენ, კერძოდ, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგები ახდენენ საბოლოო პროდუქტის დიფერენცირებას, ან რიგ შემთხვევებში სასწავლო მასალის დიფერნცირებას, საჭიროებისამებრ ითვალისწინებენ გარემოებებს. ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტებში იძებნება სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, ქართულ ენასა და ლიტერატურის სწავლებისას საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ადაპტირებული კომპლექსური დავალება, ქართულ ენასა და ლიტერატურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საბაზო საფეხურის მოსწავლისთვის, რაც ადასტურებს, რომ კათედრის წარმომადგენლები აცნობიერებენ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავენ შესაბამისად. უცხოური ენების სწავლებისას დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს მიმართავენ, კერძოდ, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგები ახდენენ საბოლოო პროდუქტის დიფერენცირებას, ან რიგ შემთხვევებში სასწავლო მასალის დიფერნცირებას, საჭიროებისამებ ითვალისწინებენ გარემოებებს. გარდა ინსტრუმენტისა, ასევე, სთავაზობს პროდუქტის არჩევასაც: ნახატი ან ელექტორნული ილუსტრაცია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათს მკვიდრ წარმოდგენებთან. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა

იყენებს როგორც მოსწავლეების მიერ თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებასაც, რადგან ერთ-ერთ რუბრიკაში მოცემულია გრაფა ''მე'' და კიდევ მეორე გრაფა ''თანაკლასელი/ან მასწავლებელი''. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების პროცესში ჩართულნი არიან თავად მოსწავლეებიც, აფასებენ როგორც ერთმანეთის მუშაობას, ისე საკუთარ ნაშრომს და გასცემენ რჩევებს/რეკომენდაციებს. წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის: 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს, ხოლო შეფასება ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს კათედრების გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგემვას. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება. სკოლამ გადაწყვიტა ყოველ კლასში განახორციელოს ორი კომპლექსური დავალება და მოსწავლეთა მუშაობაზე დაკვირვების შედეგად მომავალ სასწავლო წელს მოახდინოს კურიკულუმების გადასინჯვა. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ისგ მათემატიკაში;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. მაგ.: "მიკრობები და ჯანსაღი ცხოვრების წესი", "კლიმატის ცვლილება", "გავუფრთხილდეთ დედამიწას". ეს ყველა აქტივობა დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც პედაგოგებმა წარმოადგინეს პირისპირ ინტერვიუს დროს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობა უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების შეთავაზებით და მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კლუბის საქმიანობაში მონაწილება სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია და, ასევე, სხვა სკოლის მოსწავლეებსაც - სურვილის შემთხვევაში. შესაბამისად, სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობა, შინაარსი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მაგალითად, უცხოური ენების საბოლოო დავალების პროდუქტის წარდგენამდე ხდება ჯერ არსებული მასალის განმეორება გონებირივი იერიშის საშუალებით. წინარე ცოდნის გაქტიურების შემდგომ ხდება სხვა თემების განხილვა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას:(მაგ.: "როგორ დავიცვათ გარემო", "ჯანსაღი ცხოვრების წესი" და ა.შ.) მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.საბაზო საფეხურის კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომლებიც

ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. საბაზო საფეხურის ბუნებისმეტყველების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას,

თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე, კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები ("დედამიწა ჩვენი სახლია", ჯანსაღი ცხოვრების წესი" მიკრობები ჩვენს გარშემო", დავიცვათ ბუნება" და ა.შ.) მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც.კერძოდ, უცხოური ენების ერთ-ერთი კლასის კურიკულუმში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება: მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს პოსტერი საყვარელი წელიწადის დროების შესახებ და თან ახსნას, რატომ არის მისთვის განსაკუთრებით საყვარელი. ასევე, ერთ-ერთ კლასში მოსწავლეებს უნდა დაეწერათ ამბავი, რა გადახდათ თავს კუნძულზე და მოუყვნენ კლასს საკუთარ თავგადასავალს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებით (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების

სისტემის გამჭვირვალეობასა და ვალიდურობას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების, შეფასების სისტემის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ვერიფიკაცია ხდება შერჩევით. მაგ: ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 10-20%, ხოლო მთელი კლასის დონეზე მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად ფასდება, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდგომი რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგადი დებულება; შეფასება და მისი სახეები; სკოლის შეფასების მოდელი; ვერიფიკაციის პროცედურები (რაც თავის მხრივ მოიცავს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს); რისკებსა და გარდამავალ დებულებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 1.3.3. „კურიკულუმის დანერგვა“ თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების/მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას მინიმუმ 3 წლის ვადით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეინახება კათედრის პორტფოლიოში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრასთან ინტერვიუებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვ.) დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. აგრეთვე სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლა აღნიშნავს, რომ მათვის მნიშვნელოვანია საგნობრივი კათედრების, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის მხარდაჭერა, გაძლიერება სკოლაში.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესი, მასწავლებლებთან ინტერვიუ და, აგრეთვე, სხვა დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი და სასწავლო პროცესში პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო, მართლაც, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.*
- *სტრატეგიული გეგმა 2023-2030*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

2.ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, მონიტორინგი და შეფასება რამდენად ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ვერ შეფასდა. შესაბამისად, ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

3. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად, ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს, მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით, მოსწავლეს კი მისცემს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლაში წარმატებით გამოყენებულია შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ჯგუფური და პრეზენტაციების შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში. სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი წერის ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკით. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება დიაგნოსტიკური წერების განხორციელება. მაშასადამე, მოსწავლის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება მრავალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყოველ საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. წარმოდგენილია სხვადასხვა საგნის მასწავლებლების მიერ განხორციელებული რამდენიმე ინტეგრირებული პროექტი, სკოლის ციფრული განვითარების გეგმა და სხვა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდების დანერგვას: სადიაგნოსტიკო ტესტირებას, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სოლო ტაქსონომიის შეფასების რუბრიკას, დაკვირვების ფურცლებს და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. მონაცემთა შეგროვების ჩამოთვლილი მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას უზრუნველყოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსურ დავალებების შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდ.გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშობა, სკოლის დირექცია. ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შეიმუშვებს რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან მონიტორინგი და შეფასებები აჩვენებს თუ რამდენად დასძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები. ასევე, გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (ინგლისურ ენაში

სადიაგნოსტიკო ტესტი, ბიოლოგიაში შემაჯამებელი დავალების ანალიზი) ჩანს, რომ სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისა და ანალიზის გამოყენების მცირე პრაქტიკა. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასლაების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შედეგებზე დაკვრვებისა და მონიტორინგზე დაყრდნობით საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეიტანენ ცვლილებებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხური	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ,,სასკოლო კურიკულუმების შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგია'', რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპებს. აღნიშნული დოკუმენტზე დაყრდნობით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება საგნების სტანდარტები კლასების მიხედვით, მოსწავლის ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე თემები და კომპლექსური დავალების რაოდენობები. კურიკულუმის შექმნის პროცესი სკოლას გაწერილი აქვს კათედრის სხდომის ოქმშიც. აქვე გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით კურიკულუმის შემუშავება. პირისპირ ინტერვიუს დროს კურიკულუმების შექმნის მეთოდოლოგიაზე საუბრისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ხდება მშობელთა თანამონაწილეობა, მათი აზრის გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. კათედრის მუშაობა ეფუძნება საგნების სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა წარმოადგინე

კომპლექსური დავალებების ნიმუშები და მოსწავლეთა შექმნილი ნამუშევრები (მაგალითად, ეკოსისტემებისა და მზის სისტემის მოდელები, მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტები ჰაერის დაბინძურების, ვირუსული დაავადებებისა და სხვა. თემებზე) ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, გათვალისწინებულია თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, ამ მიზნით მშობლები ავსებენ კითხვარებს. კითხვარების საფუძველზე ხდება მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები შექმნილია კათედრის წევრების ჩართულობით და თანამშრომლობით. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმის შემუშავებაში გაწერილია კათედრის სხდომის ოქმში, ასევე, ამ პროცესში ჩართულია სკოლის დირექციაც. პირისპირ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე სამუშაო შეხვედრების დროს მსჯელობენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას წარმოქნილ პრობლემებზე და უზიარებენ ერთამანეთს საკუთარ გამოცდილებებს და აკეთებენ ანალიზს. საჭიროებისამებრ ცვლიან კომპლექსური დავალებების პირობებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგით განსაზღვრულია საშუალო საფეხურის კურიკულუმზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები. კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე დიდი ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თითოეული მასწავლებელი აღწერს და კოლეგებს გაუზიარებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით, მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული

ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. სკოლის სასკოლო--სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი;*
- *კათედრის შემაჯამებელი ოქმი.*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის კურიკულუმი ყველა საგნობრივი ჯგუფისთვის. კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები) და შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები); მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას ყველა კლასისთვის

წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება, კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია სამინისტროს მიერ მიწოდებული მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშების მიხედვით, ცალკეულ შეთხვევებში კი მასწავლებლები ახდენენ დავალების მოდიფიცირებას საჭიროების მიხედვით; წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კონტექსტის გათვალისწინებით. ხოლო უცხოური ენების კათედრამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები, რის საფუძველზეც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. კურიკულემებში გათვალისწინებულია, როგორც შუალედური(კომპლექსური დავალებები), ისე გრძელვადიანი მიზნები(სამიზნე ცნებების სახით) მართალია, კურიკულუმის ჩარჩო მეტწილად შევსებულია, თუმცა, არის თემები, რომლებშიც კომპლექსური დავალების პირობა არ არის შემუშავებული, მაგრამ განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები. საბოლოო ჯამში, მოწოდებული კურიკულუმებისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის საშუალებას. სახელმწიფო ენის მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში დამუშვებულია ყველა სამიზნე ცნება. სავარაუდოა, რომ თანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით ყველა კლასის კურიკულუმი სრულყოფილ სახეს მიიღებს. მათემატიკაში გათვალისწინებულია მოსწავლეებისადმის დიფერენცირებული მიდგომა, წარმოდგენილია სსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული კომპლექსური დავალება. კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამის საფუძველს გვაძლევს მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარები, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, რომლებიც წარმოგვიდგინეს ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, იმავეს ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და სხვა, რაც დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, რომლებიც მიმართული და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ექვსივე გლობალური ფუნქციური უნარის სათანადოდ დამუშავებას. მაგალითად, სკოლას აქვს მზაობა, ჩაატაროს სხვადასხვა კათედრის პედაგოგებთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილები,

ნარჩენების მართვის თემაზე.. აღსანიშნავია, რომ მათემატიკის სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით. გათვალისწინებულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის (კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის) გააქტიურებასა და გაცნობიერებას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. წარმოდგენილია ერთ-ერთი მოსწავლის ისგ-ს ნიმუში, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუსავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. ზეპირ ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვისას უპირველესად მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებენ. სკოლაში შექმნილია მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები სსსმ მოსწავლისათვის. ასევე, წარმოდგენილ დოკუმენტებში იძებნება სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. სკოლა დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს მიმართავს, კერძოდ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პედაგოგები ახდენენ საბოლოო პროდუქტის დიფერენცირებას, ან რიგ შემთხვევებში სასწავლო მასალის დიფერნცირებას, საჭიროებისამებ ითვალისწინებენ გარემოებებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; საშუალო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერენ მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებენ მიმართებას სამიზნე ცნებებსა და მათს მკვიდრ წარმოდგენებთან. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. შეფასების რუბრიკებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლა იყენებს როგორც მოსწავლეების მიერ თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებასაც, რადგან ერთ-ერთ რუბრიკაში მოცემულია გრაფა ''მე'' და კიდევ მეორე გრაფა ''თანაკლასელი/ან

მასწავლებელი''. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების პროცესში ჩართულნი არიან თავად მოსწავლეებიც, აფასებენ როგორც ერთმანეთის მუშაობას, ისე საკუთარ ნაშრომს და გასცემენ რჩევებს/რეკომენდაციებს. წარმოდგენილია კვლევის ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის: 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს, ხოლო შეფასება ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასევე არის ზოგადი და ყოველი საკითხის სწავლების დროს შეფასებისთვის მოხდება მისი ადაპტირება.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს კათედრების გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგემვას. საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია დათვალსაჩინოა წინარე გამოცდილება. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ კლასებში გათვალისწინებულია ორი კოპლექსური დავალების განხორციელება და მოსწავლეთა მუშაობაზე დაკვირვების შედეგად მომავალ სასწავლო წელს მოახდენს კურიკულუმების გადასინჯვას. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ ყოველი პედაგოგი კოლეგებთან და კათედრის წევრებთან ერთად განიხილავს სასწავლო პროცესში მიღწეულ წარმატებებს და წარმოქმნილ პრობლემებს, ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ მომავალი წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ისგ მათემატიკაში;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ეს ყველა აქტივობა დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც მტკიცებულებად, ასევე პირისპირ ინტერვიუს დროს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობა უზრუნველყოფილია არაფორმალური განათლების შეთავაზებით და მიმდინარე სასწავლო წელსაც გეგმავენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ კლუბის საქმიანობაში მონაწილეობა სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია და, ასევე, სხვა სკოლის მოსწავლეებსაც - სურვილის შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობა, შინაარსი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. მაგალითად, უცხოური ენების საბოლოო დავალების პროდუქტის წარდგენამდე ხდება ჯერ არსებული მასალის განმეორება გონებირივი იერიშის საშუალებით. წინარე ცოდნის გაქტიურების შემდგომ ხდება სხვა თემების განხილვა.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. კომპლექსური დავალების წარდგენის ბოლოს, მოსწავლეებს უსვამენ რეფლექსიური ტიპის შეკითხვებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ გაიზრონ, რა გააკეთეს და რისი გაუმჯობესება შეიძლება.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.საშუალო საფეხურის კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5.წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური დავალებებს, რადგან კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. საშუალო საფეხურის ბუნებისმეტყველების ჩარჩო

კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები)

აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2.საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე, კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც. კერძოდ, უცხოური ენების ერთ-ერთი კლასის კურიკულუმში არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება: მოსწავლემ უნდა დაწეროს ამბავი, რა გადახდათ თავს კუნძულზე და მოუყვნენ კლასს საკუთარი თავგადასავალი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებით (განმსაზღვრელი/განმავითარებელი) . საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობასა და ვალიდურობას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5.სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების, შეფასების სისტემის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ვერიფიკაცია ხდება შერჩევით. მაგ: ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 10-20%, ხოლო მთელი კლასის დონეზე მკვეთრად უარყოფითი ან დადებითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად ფასდება, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდგომი რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგადი დებულება; შეფასება და მისი სახეები; სკოლის შეფასების მოდელი; ვერიფიკაციის პროცედურები (რაც თავის მხრივ მოიცავს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტს); რისკებსა და გარდამავალ დებულებას.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.სკოლის კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მუხლი 1.3.3. „კურიკულუმის დანერგვა“ თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების/მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას მინიმუმ 3 წლის ვადით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეინახება კათედრის პორტფოლიოში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრებთან ინტერვიუებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაზე (სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანა წესი და სხვ.) დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებს და ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი,

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, მშობლებთან. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ, სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. აგრეთვე სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლა აღნიშნავს, რომ მათვის მნიშვნელოვანია საგნობრივი კათედრების, ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის მხარდაჭერა, გაძლიერება სკოლაში.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესი, მასწავლებლებთან ინტერვიუ და, აგრეთვე, სხვა დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული

თანამშრომლობითი და სასწავლო პროცესში პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო, მართლაც, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ 2022-2023 სასწავლო წლის ბოლოს შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

2. ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, მონიტორინგი და შეფასება რამდენად ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, ვერ შეფასდა. შესაბამისად, ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

3. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად, ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს, მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით, მოსწავლეს კი მისცემს პიროვნული და აკადემიური უნარების გაუმჯობესების საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლაში წარმატებით გამოყენებულია შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ჯგუფური და პრეზენტაციების შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში. სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი წერის ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკით. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება დიაგნოსტიკური წერების განხორციელება. მაშასადამე, მოსწავლის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხდება მრავალი, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლის მიერ ყოველ საგანში გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. წარმოდგენილია სხვადასხვა საგნის მასწავლებლების მიერ განხორციელებული რამდენიმე ინტეგრირებული პროექტი, სკოლის ციფრული განვითარების გეგმა და სხვა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები. სკოლის მიერ შეფასების ვალიდაციას სწორედ ასეთი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გეგმავს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდების დანერგვას: სადიაგნოსტიკო ტესტირებას, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სოლო ტაქსონომიის შეფასების

რუბრიკას, დაკვირვების ფურცლებს და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. მონაცემთა შეგროვების ჩამოთვლილი მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას უზრუნველყოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და კომპლექსურ დავალებების შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ პედაგოგები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობების სხვადასხვა ფაქტორებს. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლემ შეიძლება შექმნილი პროდუქტი წარმოადგინოს ნებისმიერი მისთვის სასურველი ფორმით, ეს არ მოქმედებს მის შეფასებაზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ელემენტებს, რაც სასწავლო პროცესს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებულს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია და სხვადასხვა საგნებში მოსწავლეთა ისგ-ს ნიმუშები.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ინდ. გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშობა, სკოლის დირექცია. ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შეიმუშვებს რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ნაბიჯები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კურიკულუმის ეტაპობრივი განვითარება.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ვინაიდან მონიტორინგი და შეფასებები აჩვენებს თუ რამდენად დასძლია მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხები. ასევე, გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან (ინგლისურ ენაში სადიაგნოსტიკო ტესტი, ბიოლოგიაში შემაჯამებელი დავალების ანალიზი) ჩანს, რომ სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასებისა და ანალიზის გამოყენების მცირე პრაქტიკა. ვფიქრობ, სკოლას აქვს მზაობა, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასლაების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში

მოსწავლეთა შედეგებზე დაკვრვებისა და მონიტორინგზე დაყრდნობით საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეიტანენ ცვლილებებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

06.10.2023წ.

თარიღი